



1000 ლარი რამი რიყსხვთ?

ღიან

ვანიძე, მუჟაჟე ვარ.  
შღრმენი მადღობა, ნათიან

ვანიძე, მუღი მამი რადეჟა.  
ღმუღთი, არ მჟარა, რიყ  
რამს შვიღებს  
სიღბიღი მღუღეჟთ ყღუღა

ნათიან, არ ვიყი რა მღთს რა ღა  
რღმღრ მადამიღნაღო მადღობა.

ვღი რი ბადღეი რადიღსღან.

ნათიან რიჟღვანღა  
სღღ რამღეღიღე ღღეღი  
63 000 ლარი შვამღღვან სღყიღღღღღ  
ღაღუღვღღი ჟღამიღაღეღიღსღღღ



დილით ერთ-ერთ სამუშაო ჯგუფში წერილის ფოტო დახვდა. სამი შვილის დედის, ხელით დაწერილი, წარმოდგენილად მძიმე ისტორია. მძიმე იმდენად არა მოცემულობის გამო, უფრო მეტად, იმ ადამიანის უიმედობის და სევდის, რომელიც პრობლემასთან სულ მარტოა დარჩენილი. მარტო იყო ნათიაც, თავიდან, და ზუსტად იცოდა, რომ ამ ოჯახის შველას მარტო ვერ შეძლებდა. ამიტომ სოციალურ ქსელში პოსტი დაწერა და სხვა ადამიანებს სთხოვა დახმარება. წინა საახალწლო პერიოდი იყო, თან პანდემიის გამო ისედაც უამრავი ადამიანი შემოსავლის გარეშე დარჩენილი და დიდად იმედი არც ჰქონია, რომ თანხის მოგროვებას შეძლებდა.

სულ რამდენიმე დღეში 3000 ლარის ნაცვლად, 63 000 შეაგროვა. ბევრმა, სრულიად განსხვავებულმა ადამიანმა გაიღო ის, რისი გაღებაც შეეძლო და არა ერთი, არამედ უამრავი ადამიანისა და ოჯახის ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა. სხვათა შორის, ნათია ამბობს, რომ დახმარების გამცემებისგანაც უამრავი მადლობა მიიღო. თუ სხვა შემთხვევაში, მათ გაცემულ რესურსს ძალა არ ექნებოდა რეალურად შეეცვალა რამე, ნათიას ინიციატივამ ეს შესაძლებელი გახადა. ამ საზოგადოებრივი სოლიდარობის იდეაც ხომ ეგაა, მინიმალური ძალისხმევა, როცა ადამიანები ერთიანდებიან ხოლმე, წარმოდგენელ ძალად იქცევა, თუკი ვინმე ამ ყველაფრის ორგანიზებას ითავებს.

მარტივი ამბავი არ ყოფილა. რადგან თანხა ბევრი შეგროვდა, იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ერთი ოჯახს დასახმარებლად იყო საჭირო, პასუხისმგებლობაც გაიზარდა. ზედმეტი თანხა სამართლიანად უნდა გადანაწილებულიყო და იმას მიეღო, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდებოდა. იმის კვლევაც გახდა საჭირო, ვინმე ტყუილს ხომ არ ამბობდა და სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევებიც იყო; თუმცა, სხვა ადამიანების დახმარებით, ვისაც ნათიაზე მეტი გამოცდილება აქვთ ამ საქმეში, ეს პრობლემაც გადაწყდა.

უამრავ ადამიანს კომუნალური გადასახადი დაუფარა. ოჯახებს - სურსათის ვალები, უბნის მაღაზიებში. 2 შვილის მარტო დარჩენილ დედას, რომელსაც ოჯახის 3 წევრი ერთი წლის განმავლობაში დაეღუპა და გურჯაანში გადასახლება მოუწია, გარდაცვლილი ქმრის ნახევრად დანგრეულ სახლში, ფანჯრები შეუცვალა. სხვა ადამიანებმა - სახურავი გამოუცვალეს. სახლი იპოთეკით იყო დატვირთული და გადაუხდელობის გამო, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია აუქციონზე ყიდდა. ისევ საზოგადოებრივი სოლიდარობით, ახლა ეს პრობლემაც თითქმის მოგვარებულია.

სია გრძელია. ნათია ჩიქოვანმა და ძალიან ბევრმა, ძალიან კეთილმა ადამიანმა, წინა საახალწლო პერიოდში, ზუსტად სამ დღეში მოახერხა და უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობა და რაც მთავარია, იმედი მისცა ბევრ ადამიანს.

“ იმ დღეებში ბევრი განსხვავებული შეგრძნება მქონდა; სიამაყე, რომ ამდენი ადამიანი ბრმად მენდო; ბედნიერება, რომ ამდენი პრობლემის მოგვარება შევძელით და იმედი, რომ ეს სამყარო და ეს ქვეყანა დაკარგული არ არის და მარტო მაინც არასდროს დარჩები. ”